# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

# ო ქ მ ი#2

23 მარტი 2021 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გურამ ჩხეიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გიორგი რობაქიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ტარიელ ჩაკვეტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლები: ნაზიმი კბილაშვილი, თამთა ჯიხვაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლერი გუმბერიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე
თანამომხსენებელი: გივი კობერიძე

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2020წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გივი კობერიძე

**სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1.** კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ჩხეიძემ წარმოადგინა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა: ლერი გუმბერიძემ

**კომისიის თ/მოადგილე:** გურამი ჩხეიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს, რომ 65.000ლარი ქონების გადასახადი შეუსრულებელია

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:** ლერი გუმბერიძემ უპასუხა გურამ ჩხეიძეს, რომ ქონების გადასახადი გადაუვადდათ უნდა მიგვეღო 750.000ლარი და მივიღეთ 300.000ლარი ასევე გადაუვადდათ ქონების და მიწის გადასახადი

**კომისიის თ/მოადგილე:** გურამი ჩხეიძემ განაცხადა,რომ სარეზერვო ფონდიდან დებულების მიხედვით უნდა იქნეს დებულებაში გაწერილი ცვლილება თუ სოციალური კუთხით დაიხარჯა თანხები

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:** ლერი გუმბერიძემ უპასუხა გურამ ჩხეიძეს, რომ სარეზერვო ფონდი ნელ-ნელა უნდა გათავისუფლდეს სოციალური დახმარებების მიმართულებებზე

**საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:** გურამ ჩხეიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიიღოს კომისამ და საკითხი გატანილ საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

**კომისიამ გადაწყვიტა:**

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიიღო კომისამ და საკითხი გატანილ საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

**კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია**

**მომხრე:6**

**წინააღმდეგი:0**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** **საკითხი2.** კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ჩხეიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა: ლერი გუმბერიძემ

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:** ლერი გუმბერიძემ განაცხადა, რომ ქონების გადასახადის გადავადება მოხდა კურორტ საირმესთან დაკავშირებით და 176.000ლარის უკან გამოთხოვა, მაგრამ ეს თანხა მაინც ჩაგვერიცხება

**კომისიის თ/მოადგილე:** გურამი ჩხეიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ყველა ფორმაზე არის ზოგადი მიზეზები და ბიუჯეტთან მიამრთებაში კონკრეტულად გავწეროთ რა დარღვევებია და რა არის შეუსრულებელი

**საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:** გურამ ჩხეიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ. მიიღოს კომისამ და საკითხი გატანილ საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

**კომისიამ გადაწყვიტა:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ. მიიღო კომისამ და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი გატანილ საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე

შენიშვნები:

1. ქვეყანაში მიმდინარე პანდემიის გამო ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილის დაზუსტების შედეგად შემცირების (გადასახადები შემცირებულია 114,5 ათ. ლარით) მიუხედავად, შეუსრულებელია საწარმოთა ქონების გადასახადი 65,0 ათ ლარით. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 21,9 ათ. ლარი. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 10,6 ატ ლარით. დამატებითი ღირებულების გადასახადი დამტკიცებულთან (5769,1 ათ ლარი) შმედარებით შემცირებულია 844,6 ათ ლარით და. განისაზღვრა 4924,5 ათ ლარი. ფაქტობრივად მიღებულია 5137,1 ათ ლარით მეტი. ანუ აღნიშნულ სახეობაში გეგმა არასწორად არის დაზუსტებული

   საბიუჯეტო კოდექსის 79 მუხლის შესაბამისად მიღებულია ფიანანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერი 1000,0 ათ ლარი. გეგმით გათვალიწინებილი იყო 800,0 ათ ლარი. გადაჭარბებით მიღებული ტრანსფერის დასაბუთება ანგარიშთ წარმოდგენილი არ არის.

   რგფ სამუშაოების შეუსრულებლობის გამო მიუღებელია 27,5 ათ ლარი. ასევეს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულებების შესაბამისად უნდა შესრულებულიყო 900,1 ათ ლარის. შესრულებულია 857,8 ათ ლარის - 42,3 ათ ლარით ნაკლები. აღნიშნული თანხის მიღებას ვარაუდობენ 2021 წელს. შეუსრულებელია სხვა შემოსავლების პროგნოზები. არაფინანსური აქტივების კლება, დამტკიცებულთან - 301,0 ათ ლარი- შედარებით გაზრდილია 119% -ით და განსაზღვრულია 661,1 ათ ლარით, წწლის განმავლობაშიფაქტობრივად მიუღებელია 579,0 ათ ლარი. მიღებული შემოსავლების უმეტესობა 447,6 ათ ლარი ანუ 77,3% მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო კუთვნილი ქონებსი პრივატიზებიდანაა მიღებული. ანუ გეგმა არასწორადაა პროგნოზირებული.

2021 წლის 1 იანვრისათვის საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი შეადგენს 115,8 ათ ლარს 2021 წლის ბიუჯეტში კი გათვალისწინებულია 400,0 ათ ლარი.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები მიმართულია სოციალური უზრუნველყოფის დარგით სულ 39,7 ათ ლარი. მაშინ როცა ბიუჯეტის წლიური გეგმით აღნიშნული პროგრამებით გათვალისწინებული ასიგნებების უმეტესობა აუთვისებელია. (551,0-513,5) სარეზერვო ფონდი საბიუჯეტო კოდექსის 67 მუხლის შესაბამისად იქმნება ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახადების დასაფინანსებლად. ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნებოდა გასულ პერიოდებში. ანუ, წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე შენიშვნები კვლავ მეორდება და ერთი და იგივე ხასიათს ატარებს. სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილების აღ სრულებისათვის გაცემულია 41,2 ათ ლარი. მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტორული შემოწმების ანგარიშით ნაკლოვანებებზე არ არის კონკრეტული მიზეზები და რეკომენდაციები. გაუანალიზებელია საქონელი და მომსახურეობის მუხლით გაწეული ხარჯები, ა(ა)ი - პების 2020 წლის ბიუჯეტის შესრულებები და სხვ.

**კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია**

**მომხრე:6**

**წინააღმდეგი:0**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3.** კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ჩხეიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2020წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძემ

**კომისიის წევრი:** გიორგი რობაქიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ არსებობს საქართველოს კანონი აუდიტის შესახებ და აუდიტმა უნდა მისცეს ინფორმაცია, რისი საჯაროობაც არსებობს

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი:** გივი კობერიძემ უპასუხა გიორგი რობაქიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ მერის თანხმობით

**საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:** გურამ ჩხეიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2020წლის საანგარიშო პერიოდში

გაწეული მუშაობის შესახებ. შეფასდეს დადებითად და საკითხი გატანილ საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

**კომისიამ გადაწყვიტა:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2020წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. შეფასდეს დადებითად და საკითხი გატანილ საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:5

წინააღმდეგი:1 გიორგი რობაქიძე

**საკითხს თან ახლავს დანართი:** ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2020წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
**სხდომა დახურულად გამოცხადდა**

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გურამ ჩხეიძე